ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N01/10-4

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ _ „ხელშეკრულება“) _ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანების „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ საფუძველზე შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „შემსყიდველი“ ნიშნავს ორგანიზაციას, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.3 “მიმწოდებელი“ ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

1.4 „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.5 „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული.

2. ხელშეკრულების დამდები მხარეები

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია:

ერთის მხრივ **სსიპ “თბილისის საერთაშორისო ხელოვნების საფესტივალო ცენტრს”, წარმოდგენილი მისი დირექტორის - ეკატერინე მაზმიშვილის** სახით (შემდგომში „შემსყიდველი“) და მეორეს მხრივ **შპს “ჯი თი ერს” (ს/კ 404515084)** (შემდგომში ,,მიმწოდებელი”) შორის.

3. ხელშეკრულების საგანი

3.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს 2019 წლის “თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივლის” ქართული პროგრამის მოწვეული სტუმრებისათვის, სასტუმროს მომსახურების შესყიდვა (CPV-55110000) სულ: 7 „ღამე“, რომელიც იანგარიშება ნომრების რაოდენობის ნამრავლით ღამეების რაოდენობაზე:

2019 წლის 01 - 04 ოქტომბერი - 1 ერთადგილიანი ნომერი (3 ღამის განმავლობაში) (1 ადამიანი - Li Jinsheng)

2019 წლის 01 - 05 ოქტომბერი - 1 ორადგილიანი ნომერი (4 ღამის განმავლობაში) (2 ადამიანისთვის - Zhao Zhe და Li Xi)

3.2 შესყიდვა განხორციელდა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის ,,ვ” ქვეპუნქტის საფუძველზე (წარმომადგენლობითი ხარჯები).

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1. გასაწევი მომსახურების საერთო ღირებულება შეადგენს **565.00 (ხუთასსამოცდახუთი) დოლარს,** საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით.

4.2 ერთი ერთადგილიანი ნომრის ფასი ერთი ღამის განმავლობაში შეადგენს **75.00 (სამოცდათხუთმეტი) დოლარს,** ხოლო ერთი ორადგილიანი ნომრის ფასი ერთი ღამის განმავლობაში არის **85.00 (ოთხმოცდახუთი) დოლარი,** საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

5.2 შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში აუნაზღაუროს მას გაწეული მომსახურების ღირებულება.

5.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში.

5.4 მიმწოდებელი ვალდებულია დროულად და ხარისხიანად გაუწიოს მომსახურება.

6. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

6.1 შემსყიდველი უფლებამოსილია მომსახურების გაწევის პარალელურად მოახდინოს მომსახურების შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

6.2 ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს **ადმინისტრაციული მენეჯერი - თინათინ კალატოზიშვილი.**

6.3 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული მომსახურების ნაწილის და წუნდების მიზეზების მითითებით.

6.4 მიმწოდებელი ვალდებულია წერილობითი შეტყობინებიდან 1 (ერთი) დღეში გამოასწოროს გამოვლენილი დეფექტი ან ნაკლი.

7. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

მომსახურება გაწეულად ჩაითვლება შესაბამისი „მიღება-ჩაბარების“ აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველსა და მიმწოდებლს შორის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

8. ანგარიშსწორება

8.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში - ლარში, გადახდის დღეს არსებული ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი სავალუტო გაცვლითი კურსის შესაბამისად.

8.2 ანარიშსწორება მოხდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

8.3. ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო. გადარიცხვა მოხდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1 ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. ფორს-მაჟორი

10.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

10.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

10.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება

ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

11. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

11.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის მხარეები პასუხს აგებენ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11.2. მხარეებს უფლება აქვთ, მოსთხოვონ მეორე მხარეს, ხელშეკრულების პირობების დარღვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

11.3. ზიანის ანაზღაურება არ ათავისუფლებს მხარეებს, წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1 თითოეული მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

12.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12.3 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

13. დავების გაწყვეტის წესი

13.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

13.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

14. სხვა პირობები

14.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 11 ნოემბრამდე.

14.2 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე.

შემსყიდველი:

სსიპ „თბილისის საერთაშორისო ხელოვნების საფესტივალო ცენტრი"
მის: შარტავას ქ. N7
ს/კ 205280177
სახელმწიფო ხაზინა, ხაზინის ერთიანი ანგარიში
ბ.კ TRESGE22

მიმწოდებელი:

შპს „ჯითიერ"
ს/კ 404515084
მის: ქ.თბილისი, შავთელის ქუჩა N17;
ს.ს საქართველოს ბანკი
ბ.კ BAGAGE22
ა/ნ GE60BG0000000668185200

დირექტორი:

ეკატერინე მაზმიშვილი

LEPL - International Arts Festivals Centre Of Tbilisi
Digitally signed by LEPL - International Arts Festivals Centre Of Tbilisi
Date: 2019.10.04 01:17:24 +04'00'